**გაკვეთილის გეგმა**

მასწავლებლის სახელი გვარი: თამარ მელიქიშვილი

საგანი: **ისტორია (ჩვენი საქართველო)**

სწავლების საფეხური/კლასი: **საბაზო / მეექვსე VI**

მოსწავლეთა რაოდენობა: **3**

**I გაკვეთილის თემა.** ცოტნე დადიანი და დემეტრე თავდადებული

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეები გაეცნობიან მონღოლთა შემოსევების შედეგად საქართველოში არსებულ მდგომარეობას და როლს, რომელიც შეასრულეს ქართველმა გმირებმა იმ მძიმე ეპოქაში.

| N | აქტივობის აღწერა | გამოყენებული მეთოდი/მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები | სასწავლო რესურსები | დრო (წთ) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კლასის ორგანიზება.<br>ვაცნობ გაკვეთილის თემას, მიზანს და გამსაზღვრელი, დისკუსიის შეფასების რუბრიკას.<br>♦ მოსწავლეებს ეცოდინებათ გაკვეთილის მიზანი და შეფასების კრიტერიუმები | *ვერბალური ახსნა* | მთელი კლასი | გაკვეთილის თემა და მიზანი დაფაზე დაწერილი და შეფასების რუბრიკა | 2 წთ |
| 2 | საშინაო დავალების განხილვა.<br><br>ისტის დახმარებით მოსწავლეებს უნდა მოეძიათ დამატებითი ინფორმაცია მონღოლთა ლაშქრობების შესახებ. დამოუკიდებლად ეცნობიან სახელმძღვანელოს ტექსტის შესავალ ნაწილს.<br><br>უპასუხებენ შესაბამის კითხვებს:<br>ა) რა ფაქტორებმა განაპირობა მონღოლთა სამხედრო წარმატება? | კითხვა-პასუხი | ინდივიდუალური | ისტი. თაბახის ფურცელზე ამობეჭდილი ინფორმაცია.სახელმძღვანელო | 5წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ბ) როგორ ახერხებენ ისინი თავისზე ბევრად ძლიერი სახელმწიფოების დაპყრობას?<br><br>♦ მოსწავლეები იმსჯელებენ მონღოლთა იმპერიის ბუნებაზე.მის სამხედრო ხასიათზე და როლზე ისტორიაში. | | | | |
| 4 | შეფასება შეჯამება ზეპირი კომენტარებით | უკუკავშირი | ინდივიდუალური | | 1 წთ |
| 5 | ახალი მასალის გაცნობა, ვატარებ მინი ლექციას.<br><br>საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება XIII საუკუნეში.<br><br>რა ზეგავლენა მოახდინა ილხანთა ბატონობამ საქართველოს მთლიანობაზე.<br><br>ვაცნობ რუკას<br><br>♦ მოსწავლეები გაეცნობიან საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას. რუკის დახმარებით გაეცნობიან მონღოლთა იმპერიას და მათი დღევანდელი განსახლების ტერიტორიას. | მინი-ლექცია რუკის ანალიზი | მთელი კლასი | სახელმძღვანელო<br>რუკა-<br><br>http://www.tourua.com/ru/maps/world_maps/info-79.html<br>პროექტორი | 5 წთ |
| 6 | მოსწავლეთა პროვოცირების მიზნით ვსვამ კითხვას.<br>რომელ ისტორიულ გმირებს იცნობენ, რომლებიც თავისი ქვეყნის თავისუფლებას შეეწირნენ?<br><br>♦ მოსწავლეები დაასახელებენ რომელიმე გმირს და იმსჯელებენ მის შესახებ. | კითხვა -პასუხი | მთელი კლასი | | 3 წთ |
| | სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტის პირველ და მეორე ნაწილზე მუშაობა. გვ. 144 – 145. | ტექსტის ანალიზი კითხვა-პასუხი | ინდივიდუალური | სახელმძღვანელო | 8 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | უპასუხებენ კითხვებს:<br>ა)ცოტნე დადიანის საქციელი სიცრუე იყო თუ თავგანწირვა.<br>ბ)როგორ ესმოდა დემეტრე II–ს საკუთარი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე.<br>♦ მოსწავლეები გაანალიზებენ ფაქტებს, გამოიტანენ დასკვნებს და დაახასიათებენ საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირებს. | | | | |
| 8 | დისკუსია თემაზე: „ გმირები ძველად და დღეს"<br>♦ მოსწავლეები გამოთქვავენ მოსაზრებებს ძველი და ახალი დროის გმირებზე, მსჯელობენ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე შესაბამის დროში. | დისკუსია | მთელი კლასი | სახელმძღვანელო | 15 წთ |
| 9 | გაკვეთილის შეჯამება /საშინაო დავალება.<br>♦ მოსწავლეებთან ერთად შევაჯამე მიღებული ინფორმაცია და გავაკეთეთ დასკვნები.<br>მოსწავლეებმა შემდეგი გაკვეთილისთვის უნდა მოამზადონ პრეზენტაცია თემაზე რა დამსახურების გამო მიიღო გიორგი V–მ ეპითეტი „ ბრწყინვალე"<br>♦ მოსწავლეები შეეცდებიან დამოუკიდებლად იმუშაონ დავალებაზე, გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და ჩამოუყალიბდეთ წერითი მეტყველება. | განმავითარებელი შეფასება | ინდივიდუალური | | 4 წთ |
| 10 | თვითშეფასების კითხვარი.<br>♦ მოსწავლეებს შეუძლიათ კითხვარის დაყრდნობით საკუთარი თავის შეფასება. | კითხვა –პასუხი | ინდივიდუალური | თვითშეფასების ფურცელი | 2 წთ |

*გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:*

**საზ. მეც.V–VI. 1. მოსწავლეს შეუძლია რუკების კითხვა და გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- რუკების დახმარებით განიხილავს საქართველოს საზღვრების ცვლილებას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში;

**საზ. მეც.V–VI.5. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ისტორიული ფაქტები შესაბამის ეპოქებთან.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს;

**საზ. მეც.V-VI.7. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს საქართველოს ისტორიის გამორჩეული პიროვნებები, რომლებიც ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობდნენ.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის სხვადასხვა დროს მოღვაწე ისტორიულ პირებს. განსაზღვრავს მათ როლს მმართველობით სტრუქტურებში;
- ჩამოთვლის და ახასიათებს მმართველობაში მონაწილე ისტორიულ პირთა მიერ გატარებულ სახელმწიფო ღონისძიებებს. გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას მათ შედეგებზე;

**შეფასება.**განმავითარებელი შეფასება
თვითშეფასების კითხვარი
განმსაზღვრელი, დისკუსიის შეფასების რუბრიკა.

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

| | III დონე (8-10) | IIდონე (5-7) | I -დონე(1-4)წულა |
|---|---|---|---|
| **მოსმენა** | ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს | ხშირად უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს | იშვიათად უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს |
| **საუბარი** | მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელს | ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელს | მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება |

| | | | |
|---|---|---|---|
| **არავერბალური კომუნიკაცია** | შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაიის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით,ხმით) | ხშირად შეუძლია არავერბალური კონტაქტი | იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს. |
| **მონაწილეობა** | უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით | ძირითადად გამოხატავს ინტერესს.კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო. | მცირე ინტერესი აქვს, არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას. |
| **კოოპერაცია** | თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს | ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს | იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს. |
| **მოსაზრებების არგუმენტირება** | მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით.არის ლოგიკური კავშირი საკითხთან | მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ნებები. | მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით. |

ფოტოსურათი

დემეტრე II თავდადებული



ცოტნე დადიანი



გამოყენებული ლინკი

http://www.tourua.com/ru/maps/world_maps/info-79.htm